## თბილისის “დინამომ” გააუმჯობესა თამაში

მატჩიდან მატჩამდე აუმჯობესებს თამაშს თბილისის “დინამოს” ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივი. მ. ჯოჯუას აგრესიული სტილი, ი. ვარდიმიადის თამამი გასვლები ბურთზე, ა. ღოღობერიძის შესანიშნავი ტექნიკური ილეთები, ნ. თოდრიას ენერგია მტკიცედ შეაკავშირა გუნდის კაპიტანმა და ლიდერმა ბორის პაიჭაძემ. გუნდის შეტევას მიეცა ორგანიზებული ხასიათი, იერიში ტაქტიკურად გააზრებული გახდა.

სახელგანთქმულმა ფეხბურთელმა პაიჭაძემ ბრწყინვალედ ჩაატარა მატჩები ხარკოვში, სტალინგრადში, მოსკოვში.

35.000 ხარკოველი მაყურებელი გულთბილად შეხვდა თბილისელთა გუნდის გამოსვლას მინდორზე და ასევე გულთბილად, მქუხარე ოვაციებით მიულოცა გამარჯვება საქართველოს სპორტსმენებს. დიდი მოწონება დაიმსახურა ვ. მარღანიამ, რომელმაც რამდენიმე “მკვდარი” ბურთი აიღო. აღსანიშნავია აგრეთვე ხარკოველთა მეკარის თამაში, რომელმაც მეორე ტაიმის 27-ე წუთზე ჯერ ვარდიამიადის ძლიერი ბურთი მოიგერია, ხოლო 2 წუთის შემდეგ პაიჭაძისა.

ხარკოვის “ლოკომოტივთან” ოსტატური თამაშით განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ნ. ძიაპშპა, ვ. ელოშვილი, ი. სარჯველაძე, მ. ჯოჯუა და ა. ღოღობერიძე.

(ჩვენი სპეც. კორ.).

**“ლელო”, 19 მაისი 1950 წ.**